<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბომბორას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბომბორას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ბომბორას ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ბომბორას I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=481372 Y=4615397
ბომბორას I ჩიხი
X=481445 Y=4615350

ქ. თბილისის საკრებულოს
სახელდების და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ქ-ნ. თინათინ
ნიკოლაიშვილს

19/03203 0048-03

განცხადება

მოგმართავთ სოფიო ვიბლიანი (პ/ნ 01024071797) თხოვნით, მიანიჭოთ ჩემს სახლამდე მისასვლელ გზას, კერძოდ ჩასახვევს, ჩიხის ან ქუჩის სახელწოდება. ვცხოვრობ ოქროყანაში, ამჟამინდელი დამისამართებით ფუნიკულიორის ქუჩა #21-ში, საკადასტრო კოდით 01.15.07.004.006.

აღსანიშნავია რომ მოცემული საცხოვრებლისთვის დამისამართება მოხდა არასწორად, ვინაიდან ჩემს სახლს მისასვლელი არც სამანქანო და არც საფეხმავლო გზით არ აქვს ფუნიკულიორის ქუჩიდან - ჩემი სახლიამდე 1 ნაკვეთით ადრე წყდება ქუჩა და არის პატარა ხევი, საიდანაც ჩემ ეზომდე ამოზრდილია ეკალ-ბარდები.

მოგახსენებთ რომ არსებული არასწორი დამისამართების გამო ამ რამდენიმე თვის განმავლობაში რაც საცხოვრებად გადავედი მოცემულ ნაკვეთზე, შემექმნა პრობლემები - მაგალითად ძალიან რთულია სასწრაფოს გამოძახება, ასევე ფოსტა ვერ აგნებს მისამართს სწორად და ა.შ. (გადასამოწმებლად შეგიძლია მობრძანდეთ და თავად იხილოთ რომ ფუნიკულიორის ქუჩიდან არანაირი მისასვლელი არ აქვს ჩემს სახლს) ძალიან გთხოვთ რომ დანართში მოცემულ საკადასტრო რუკაზე მონიშნულ ჩასახვევს, რომელიც ინოვაციების ქუჩიდან ჩემს სახლამდე ჩამოდის, მიანიჭოთ ჩიხის ან ქუჩის სახელწოდება, რის მიხედვითაც შემდგომ საჯარო რეესტრში მოხდება ჩემი სახლისთვის ახალი მისამართის მინიჭება.

დიდი მადლობა წინასწარ,

პატივისცემით,

სოფიო ვიბლიანი

ს. ვიბლიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032034254
თარიღი: 07/12/2020
პინი: 4924

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე სოფიო ვიბლიანის 2020 წლის 26 ოქტომბრის საქმე #19/032030048-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ოქროყანაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ.01.15.07.004.006). სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01203432223**
თარიღი: **08/12/2020**
პინი: **7698**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

17 - 032034317 6 - 03.

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 07.12.2020 წლის #03-032034254 (07.12.2020წ. #14-01203423397-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი